

ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გ. ყანჩელის სახელობის თბილისის ახალგაზრდული ორკესტრის მუსიკოს-შემსრულებელთა დებულება

პრეამბულა

ა(ა)იპ“მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლის“ მიზანია მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და ინტერესიდან გამომდინარე, გ.ყანჩელის სახელობის თბილისის ახალგაზრდული ორკესტრის მუსიკოს-შემსრულებელთა სპეციფიკის გათვალისწინებით ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრა, რაც ეფუძნება ორკესტრის წევრთა საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის დამკვიდრებას.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1. დებულება შემუშავებულია ა(ა)იპ“მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ წესდების, შრომის შინაგანაწესისა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების გათვალისწინებით;
- 1.2. დებულება განსაზღვრავს გ.ყანჩელის სახელობის თბილისის ახალგაზრდული ორკესტრის (შემდგომში-ორკესტრი) მუსიკოს-შემსრულებელთა წევრთა უფლება-მოვალეობებს, მუშაობისა და ქცევის წესებს;
- 1.3. სასახლის შინაგანაწესთან ერთობლიობაში, ზემოაღნიშნული დებულება წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და შესასრულებლად სავალდებულოა ორკესტრის წევრთა სრული შემადგენლობისათვის. დასაქმებული ვალდებულია სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას წინამდებარე დებულება, სასახლის შინაგანაწესი და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი, რომლის შესრულება ევალება დაკავებული პოზიციიდან გამომდინარე;
- 1.4. ზემოაღნიშნული დებულება შეესაბამება სასახლის შინაგანაწესს. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნული დებულება შეიცავს სასახლის შინაგანაწესისაგან განსხვავებულ რეგულაციას, სასახლის შინაგანაწესს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ზემოაღნიშნული დებულებით დადგენილ წესებთან მიმართებით.

მუხლი 2. დებულების მიზნები

დებულების მიზანია:

- 2.1. ორკესტრის სპეციფიკის გათვალისწინებით ქცევის წესების ჩამოყალიბება;
- 2.2. დამსაქმებლის ფუნქციის სრულყოფილად განხორციელებისათვის ხელის შეწყობა;
- 2.3. შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა;
- 2.4. ორკესტრის წევრთა კეთილსინდისიერი მოქმედების დამკვიდრების მიზნით საერთო სტანდარტის ჩამოყალიბება;
- 2.5. მოვალეობათა სრულყოფილად და რაციონალურად შესრულება.

მუხლი 3. ორკესტრის მიზნები

ორკესტრის მიზანია:

- 3.1 კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია;
- 3.2 განუვითაროს ახალგაზრდა მუსიკოსებს შემოქმედებითი ნიჭი, მისცეს მათ განათლება და შესძინოს საჭირო უნარები იმისთვის, რომ ჩამოყალიბდნენ მაღალი დონის ორკესტრის მუსიკოსებად-მიაღწიონ პროფესიულ სრულყოფას;
- 3.3 შექმნას ისეთი გარემო, სადაც ახალგაზრდა მუსიკოსები ერთობლივი მუსიცირებით შეძლებენ წვლილის შეტანას თბილისის კულტურული ცხოვრების განვითარებაში.
- 3.4 ემსახუროს საორკესტრო მუსიკის ხელოვნებას და მსმენელს შესთავაზოს მაღალი ხარისხის წარმოდგენა;
- 3.5 სასახლის მიერ განსაზღვრული ფორმითა და წესების გათვალისწინებით ითანამშრომლოს ხელოვნებასთან დაახლოებულ ორგანიზაციებთან და ითანამშრომლოს საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან, ორკესტრის წევრების წახალისების მიზნით.

მუხლი 4. ორკესტრის წევრთა ვალდებულებები

- 4.1 ორკესტრის ყველა წევრისათვის რეპეტიციებზე დასწრება სავალდებულოა, რაც

მოიცავს პასუხისმგებლობას რეპეტიციებზე გამოცხადებისთანავე დააფიქსირონ სახელი და გვარი დასწრების ფურცელზე;

4.2 ორკესტრის წევრმა უნდა დააფიქსიროს თავისი სრული სახელი (და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაფიქსირდეს სხვა წევრის ნაცვლად), ხოლო ის ვინც გვიან გამოცხადდება რეპეტიციაზე მაინც აფიქსირებს თავის ხელმოწერას შესაბამის დავთარში.;

4.3 არ დასწრების შემთხვევაში ორკესტრის წევრს დაუფიქსირდება გაცდენა. დაგვიანების სამი შემთხვევა მიიჩნევა ერთ გაცდენად;

4.4 ორკესტრის წევრს ეკრძალება რეპეტიციების დროზე ადრე დატოვება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არასრულწლოვანი წარმოადგენს კანონიერი წარმომადგენლის წერილობით მოთხოვნას. აღნიშნული პირობის დაუცველობის შემთხვევაში ისინი ამოეწერებიან დასწრების ფურცლიდან და ჩათვლებათ გაცდენად. ორკესტრის წევრის შეუძლოდ გახდომის შემთხვევაში ორკესტრის წევრი ასევე გათავისუფლდება რეპეტიციიდან.

მუხლი 5. საკონცერტო და სარეპეტიციო ჩაცმულობა

5.1. ორკესტრის მენეჯერი და სამხატვრო ხელმძღვანელი იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებებს საკონცერტო და სარეპეტიციო პერიოდში წევრთა ჩაცმულობის შესახებ;

5.2. ორკესტრის წევრთა საკონცერტო ჩაცმულობა მკაცრად არის გაკონტროლებული და ორკესტრის წევრს არ აქვთ უფლება ჩაიცვას საკუთარი სურვილის შესაბამისად;

5.3. საკონცერტო ტანისამოსის არქონის შემთხვევაში ორკესტრის წევრმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ორკესტრის მენეჯერს;

5.4. ჩაცმულობა - მოკრძალებულობა სავალდებულოა:

5.4.1. საკონცერტო ჩაცმულობა ქალბატონებისათვის:

- შავი ზედა გრძელი მკლავით, მინიმუმ 3/4 სიგრძით (ისე, რომ ფარავდეს იდაყვს);
- გრძელი შავი ქვედაბოლო, გრძელი შავი კაბა, ან შარვალი (აკრძალულია ჯინსები, ან ტანზე მომდგარი შარვალი, რომელიც ფორმებს კვეთს);
- წინდები - შავი;
- ფეხსაცმელი - შავი (იკრძალება სანდლები, სპორტული ან წინ გახსნილი ფეხსაცმელი, რომელშიც ფეხის თითები ჩანს);
- აკრძალულია გადაჭარბებული სამკაული;

- თმები აკურატულად მოწესრიგებული;
- 5.4.2. საკონცერტო ჩაცმულობა მამაკაცებისათვის:
- შავი პერანგი, გრძელი მკლავებითა და საყელოთი;
 - შარვალი - შავი კლასიკური (ჯინსი არა), ქამარი- შავი, წინდები- მინიმუმ საშუალო სიგრძის შავი (მოკლე არა);
 - ფეხსაცმელი - შავი კლასიკური (არა ღია, სანდალი ან სპორტული);
 - არა ქურთუკი , ჟილეტი ან აჭიმები;
 - აკრძალულია გადაჭარბებული სამკაული;
 - თმები აკურატულად მოწესრიგებული;
- 5.4.3. საფესტივალო ჩაცმულობა
- გრძელი ლურჯი ჯინსი და მაისური თბილისის ახალგაზრდული ორკესტრის ლოგოთი.

მუხლი 6. ორკესტრის წევრთა უფლება-პასუხისმგებლობა

- 6.1 ორკესტრის წევრს შესაძლებელია ეპატიოს ერთი გაცდენა სეზონზე (შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული). გაცდენის მიზეზი მკაფიოდ უნდა იქნეს ახსნილი. თუ კი გაცდენა გამოწვეულია ჯანმრთელობის მდგომარეობით, გამცდენმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი სამედიცინო ფურცელი. გაცდენის შემთხვევაში წევრები უნდა დაეკონტაქტონ ორკესტრის მენეჯერს და აცნობონ გაცდენის შესახებ 1 კვირით ადრე (გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ მენეჯერს, პირველივე შესაძლებლობისთანავე წარუდგინონ შესაბამისი დოკუმენტი). მენეჯერს შეგიძლიათ დაეკონტაქტოთ 599 010003, ან ელექტრონულ მისამართზე: tyogeorgia@gmail.com. კონტაქტის ვერ დამყარების შემთხვევაში შეიძლება გაცდენა ჩაითვალოს არასაპატიოდ;
- 6.2 ორკესტრის წევრი გადაჭარბებული გაცდენებით შეიძლება აღდგენილ იქნას და დაუბრუნდეს შესაბამის პოზიციას ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და მენეჯერის ერთობლივი გადაწყვეტილებით. წევრობის სტატუსი, რეპეტიციების გაცდენებისა და კონცერტზე არ დასწრების შემთხვევაში (ერთზე მეტი) შეიძლება გახდეს განხილვის და მსჯელობის საგანი;
- 6.3 ორი, ან მეტი გაცდენის შემთხვევაში (რომელიც არ ჩაითვლება საპატიოდ) ორკესტრის წევრს დაუკავდება ხელფასის 50 %-ის ოდენობით (საარსებო მინიმუმის

გათვალისწინებით);

6.4 ორკესტრის წევრი ვალდებულია დაიცვას სასახლის ქონება და გაუფრთხილდეს სასახლის ინვენტარს;

6.5 თავისი ქმედებით ჩრდილი არ მიაყენოს სასახლის საქმიან რეპუტაციას;

მუხლი 7. მუსიკალური პარტიები (ნოტები)

7.1. ორკესტრის ყველა წევრს ეძლევა საორკესტრო პარტიები სავარჯიშოდ და სარეპეტიციოდ. რეპეტიციაზე ყველა წევრს თან უნდა ჰქონდეს პარტიები (ნოტები), ფანქარი და საშლელი;

7.2. საორკესტრო პარტიები (ნოტები), რომელიც ეძლევათ ახალგაზრდული ორკესტრის წევრებს, სასახლის ორკესტრის საკუთრებაა და მოთხოვნის შემთხვევაში ექვემდებარება დაუყოვნებლივ უკან დაბრუნებას. ორიგინალი პარტიების (და არა კოპირებული ასლების) დაკარგვის შემთხვევაში მუსიკოსი დაჯარიმდება 30 ლარის ოდენობით, რომელიც დაიქვითება ხელფასიდან;

7.3. ნოტების დედანი დაბრუნებულ უნდა იქნეს ყველა კონცერტის ბოლოს.

მუხლი 8. რეპეტიციები

8.1. ორკესტრის წევრ(ებ)ი ინფორმირებულები უნდა იყვნენ რეპეტიციის დროისა და თარიღის შესახებ;

8.2. ორკესტრის თითოეული წევრი ვალდებულია ყურადღებით შეისწავლეს განრიგი, რადგან რეპეტიციები შეიძლება არ იყოს თანმიმდევრობით;

8.3. ორკესტრის წევრი უნდა გამოცხადდეს რეპეტიციამდე 15 წუთით ადრე, რათა მოასწროს მომზადება (ამოლაგება, აწყობა და გავარჯიშება). რეპეტიციამდე ხუთი წუთით ადრე ორკესტრის წევრები პირველი ვიოლინოს მიერ მომზადებულები უნდა ისხდნენ თავიანთ ადგილებზე;

8.4. რეპეტიციის დროს ორკესტრმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს დაკვრა, თუ შესაბამისი მითითება ექნება სამხატვრო ხელმძღვანელისა;

8.5. აკრძალულია რეპეტიციის დროს საუბარი, მობილური ტელეფონის გამოყენება და ინტერნეტით სარგებლობა.

მუხლი 9. წევრობის დაკარგვა

ორკესტრის წევრის მიერ სამი ან მეტი გაცდენა, პრობლემები ქცევასა და დამოკიდებულებაში, შესაძლებელია გახდეს ორკესტრიდან დათხოვნის საფუძველი.

მუხლი 10. წევრობის განახლება

ორკესტრის წევრობა ერთი სეზონიდან მეორე სეზონზე ავტომატურად არ განახლდება. წევრობის განახლებაზე გადაწყვეტილებას იღებს ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი. ორკესტრის მენეჯერთან შეთანხმებით, იგი უფლებამოსილია დანიშნოს, ან არ დანიშნოს ხელახალი მოსმენა წევრობის განახლების გამო.

მუხლი 11. კონცერტის ჩანაწერები

- 11.1. შესაძლებელია გაკეთდეს ორკესტრის კონცერტის CD და DVD ჩანაწერები, ჩანაწერებზე საავტორო უფლებები ეკუთვნის სასახლეს;
- 11.2. ჯგუფური სურათები მუდმივი სამახსოვრო აქტივობაა, რომელსაც ორკესტრის ყოველ წელს სთავაზობენ;
- 11.3. ორკესტრის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდეს რეპეტიციებსა და კონცერტების აუდიო-ვიდეო გადაღება;
- 11.4. სასახლის დირექციის გადაწყვეტილებით ორკესტრმა შესაძლებელია მონაწილეობა მიიღოს სასახლისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ღონისძიებებში.